„არა აქვს მნიშვნელობა ვინ რომელ მხარეს იდგა, მთავარია, ადამიანებმა აკეთონ საქმე“

„არა აქვს მნიშვნელობა ვინ რომელ მხარეს იდგა, მთავარია, ადამიანებმა აკეთონ საქმე“, – ასე განუცხადა საკადრო პოლიტიკით დაინტერესებულ ჟურნალისტებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეულმა მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ თავისი უფლებამოსილების განხორციელების პირველ დღეს.

„ვიცი რამხელა საქმეები მელოდება წინ, ვიცი უზარმაზარი შრომაა ჩასატარებელი. რა თქმა უნდა, არ ვუშინდები ამას, პირიქით, რაც უფრო მეტი სიძნელეები დამხვდება, უფრო მეტი ძალა მომეცემა, რომ ხალხის ნდობა გავამართლო და ვაკეთო საქმე, რომელიც ჭირდება დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტს. როცა გადავწყვიტე ამ ნაბიჯის გადადგმა, ვიცოდი, რა საქმესაც ვეჭიდებოდი. მინდა, რომ ამ საქმეში ყველა ის ადამიანი იყოს ჩართული, ვისაც აქვს სურვილი და შესაბამისი ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით. ყველასთან ვითანამშრომლებ.

პირდაპირ გეუბნებით, მოადგილეებს თავისთავად ჩემი შეხედულებით შევარჩევ, კანონით მაქვს ამის უფლება მონიჭებული. დანარჩენი კადრების დამტკიცებისას შესაბამისი კანონით ვიმოქმედებთ, ძირითადი კრიტერიუმი შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება იქნება. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელ მხარეს იდგა, მთავარია, ადამიანებმა აკეთონ საქმე!

ვინ იქნებიან მოადგილეები? პირველი დღეა და ჯერჯერობით ვერ დაგისახელებთ, სანამ მთელი გუნდი ერთად არ დავდგებით, არ გადავწყვეტთ, რა როგორ და რანაირად. იმიტომ, რომ არის უზარმაზარი საკითხი, რომელსაც მუნიციპალიტეტების შერწყმა ჰქვია, არის ფორსმაჟორი, რომელსაც მომავალი წლის ბიუჯეტის მოწყობა ჰქვია. ასევე მიმდინარეობს რეორგანიზაცია. ასე რომ, ჩვენ თვითონ ჩამოვყალიბდებით და გაცნობებთ, რასაკვირველია. ყველაფერს სჭირდება რეგისტრაცია და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. ამ ყველაფრის შემდეგ ღია იქნება თქვენთვის ეს კარები. არ იქნება არანაირი საშვთა ბიურო.

მე პირადად მჭირდება ამ ყველაფრის გამჭვირვალობა, უფრო სწორად საქმეს სჭირდება. ამიტომ ამ პროცესების გამჭვირვალობისთვის, პირველ რიგში, თქვენ მოგმართავთ დასახმარებლად“. – უთხრა ჟურნალისტებს მუნიციპალიტეტის მერმა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 48 (10242) 4 დეკემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები გურიაში

გვ-2

გვ-2

„მედალფას“ სამედიცინო პერსონალი გაფიცვის მთავარ მიზეზად დაგვიანებულ ხელფასებს ასახელებენ

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა ხმაურიანი გამოდგა

27 ნოემბერს გამართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა, რომელსაც 46 დეპუტატიდან 44 ესწრებოდა დარომელიც ექვს საათზე მეტხანს გრძელდებოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმაურიანი გამოდგა. აყალმაყალამდე მივიდა საქმე კენჭისყრის პროცედურაზე და საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცებაზე გამოთქმული შენიშვნების გამო.

მივყვეთ თანმიმდევრობით: № 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის **ზვიად თენიეშვილის** მოხსენების შემდეგ, რომლითაც მან დამსწრე საზოგადოება გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის საბოლოო შედეგები საკრებულოს სხდომამ, უხუცესი დეპუტატის, ქალბატონი **ნანული ორაგველიძის** თავმჯდომარეობით მიიღო განკარგულებები ახალარჩეული საკრებულოს წევრთა და თვით საკრებულოს უფლება მოსილებათა ცნობის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრის დაწყებამდე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივმა ლიდერმა, სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით მჟავანაძემ** განაცხადა, რომ პარტია, რომელიც ახალარჩეულ საკრებულოში წარმოდგენილია ოთხი დეპუტატით, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა:

„ჩვენ არ ვაპირებთ კენჭისყრაში მონაწილეობას. იმიტომ, რომ მთელ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა გაყალბებით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში. საჩივარი აქვთ დაწერილი ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს, რომ არა ეს დარღვევები, „ქართული ოცნება“ დღეს უმრავლესობაში ვერ იქნებოდა. ამიტომ ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას ამ კენჭისყრაში“.

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარეობის ერთი კანდიდატურა დასახელდა, 2014 წლის მოწვევის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, **დავით დარჩია**, რომლის ამ პოსტზე არჩევას მხარი მონაწილე 40 დეპუტატიდან 37-მა დაუჭირა მხარი. აქვე ლეიბორისტთა ადგილობრივმა ლიდერმა **დავით მამალაძემ** ღიად განაცხადა, რომ ბატონ დავითს ლეიბორისტული პარტიის მიმართ არანაირი დამსახურება არ აქვს და ამიტომ ვერ დაუჭერს მხარს მას.

არ გამართლდა მოლოდინი, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობაზე თავის კანდიდატურას დააყენებდა „პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივი ლიდერი **შოთა გოგიბერიძე,** რომელიც მუნიციპალიტეტის მერობაზე, კონსტანტინე შარაშენიძის სასარგებლოდ, თავისი კანდიდატურის მოხსნის შემდეგ, აანონსებდა, რომ „იბრძოლებდა საკრებულოსთვის“:

„იმ კომენტარში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ რეალობას აღვიქვამთ. აბსოლუტურ უმრავლესობას ამ საკრებულოში „ქართული ოცნება“ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, თვითონ იღებენ საკადრო გადაწყვეტილებას და ჩვენ ამ საკადრო გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც არ ვმონაწილეობთ. მთლიანად პასუხისმგებლობა მათ აკისრიათ ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ამ პასუხისმგებლობას ვერ გავიზიარებთ. ეგ არის სულ ჩვენი პოზიცია“.

ახალარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** თავის სამადლობელო სიტყვაში აღნიშნა, რომ ახალი საკრებულო იქნება უფრო ღია და გამჭვირვალე,

„ჩემთვის დიდი პატივია, ხელმეორედ ვიყო არჩეული ახალშექმნილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ თქვენგანს, ჩემო ბატონებო, ჩემო

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი ვოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ვულოცავთ! საქართველოს სახალხო დამცველად ნინო ლომჯარია აირჩიეს

ოზურგეთელი **ნინო ლომჯარია** საქართველოს პარლამენტმა 95 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ საქართველოს სახალხო დამცველად აირჩია.

–ამხელა მხარდაჭერის მაჩვენებელი ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო კრიტიკული შეფასებები ფონზე. მე მზად ვარ, რომ ყველა ადამიანთან, ვისაც კითხვები ჰქონდა, ვითანამშრომლო, მოვუსმინო მათ პრეტენზიებს და ვუპასუხო. მე შევუდგები საქმიანობას მას შემდეგ, რაც მოქმედ სახალხო დამცველს ამოეწურება უფლებამოსილების ვადა. პირველი რაც იქნება, გავეცნობი არსებულ ვითარებას აპარატში. მოვუწოდებ ყველას, იყვნენ მაქსიმალურ კონტაქტზე სახალხო დამცველთან. მე ვიქნები ძალიან გახსნილი მათთან. ძირეული ცვლილებები იქნება თუ არა, ამაზე მას შემდგე ვისაუბრებ, როცა მივალ აპარატში და გავეცნობი მდგომარეობას. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ პროფესიონალიზმი იყოს წინა პლანზე,– განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

–არ მივეცი ხმა ლომჯარიას (ნეო ნაცს არ მივცემ) წინააღმდეგი ხუთიდან ერთი ხმა ჩემია ... და სამწუხაროდ ვერ მივეცი ხმა ფოფხაძეს (პატრიოტთა ალიანსის კანდიდატს არ მივცემდი ... ამიტომ თავი შევიკავე) თორემ ძალიან დამაჯერებელი გამოსვლა ჰქონდა –წერს საკუთარ ფეისბუქგვერდზე **სალომე ზურაბიშვილი.**

ნინო ლომჯარია. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, სენტ-ლუისის(აშშ) ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა.

2005 წლიდან მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში; იყო ამ ორგანიზაციის საარჩევნო პროექტების ხელმძღვანელი. ავტორია ათზე მეტი ანგარიშისა საარჩევნო, ანტიკორუფციული, კონსტიტუციური სამართლის საკითხებზე. არის არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი. მუშაობდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილედ.

რა ახალი სამსახურები იქნება ოზურგეთის გაერთიანებულ მუნიციპალიტეტში?

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს ბიუროს პირველი სხდომა გაიმართა, რომელიც დღეს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე უნდა განიხილონ.

ბიუროს სხდომაზე 21 საკითხი განიხილეს.მათ შორის საკრებულოსა და მერიის სამსახურების დებულებები და პროფესიულ საჯარო მოხელეთა, თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის და შრომით ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში იქნება: ადმინისტრაციული სამსახური; ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური; შიდა აუდიტის სამსახური; სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური; საფინანსო და საბიუჯეტო სამსახური; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური; განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური; არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური; მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახური.

საკრებულოში 21 საშტატო ერთეული იქნება. ახალი საშტატო განრიგით საკრებულოში აპარატის უფროსს მოადგილე ეყოლება.

სხდომაზე ითქვა, რომ საკრებულოსა და მერიაში კადრები მობილობის წესით შეირჩევა და მათი დანიშვნა საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ მოხდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის თქმით, მის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულში თანაშემწეების რაოდენობა გაეზრდებათ. 1000 კაცზე ერთი თანაშემწე ეყოლებათ, რომელიც კონკურსის წესით შეირჩევა. ქ. ოზურგეთში კი 3 თანაშემწე იქნება.

ბიუროს სხდომაზე შელაპარაკება მოხდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერ კონსტანტინე შარაშენიძესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძეს შორის.

ინციდენტი საკრებულოს ბიუროს წევრ ლელა საჯაიასა და საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიას ჩარევით შეწყდა.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები გურიაში

ქართველი წმინდანის, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები გურიაში 28 ნოემბერს შემოაბრძანეს და თავდაპირველად ჩოხატარში, წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ტაძარში მიაბრძანეს, იქიდან კი ოზურგეთში, ღმრთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ჩამოაბრძანეს.

როგორც ჩოხატაურში, ისე ოზურგეთში წმინდანის ნაწილების შემობრძანებას მრევლი ცოცხალი ყვავილებით შეეგება.

ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები ოზურგეთში 2 დეკემბრამდე იყო დაბრძანებული.

„მედალფას“ სამედიცინო პერსონალი გაფიცვის მთავარ მიზეზად დაგვიანებულ ხელფასებს ასახელებენ

ოზურგეთის სამედიცინო ცენტრ „მედალფას“, მედპერსონალი გაიფიცა. ისინი გაფიცვის მთავარ მიზეზად დაგვიანებულ ხელფასებს ასახელებენ.

– ოქტომბრის ხელფასი ჯერ არ მიგვიღია. „მედალფას“ ხელმძღვანელები ვერ გვეუბნებიან თუ როდის მივიღებთ კუთვნილ ხელფასს. აქ ჩვენ რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. ღამეებს ვათენებთ, რომ პაციენტებს მოვემსახუროთ. რა ვუყოთ ბანკის ვალებს, როგორ ავუხსნათ მათ, რომ კუთვნილ ხელფასს არ გვაძლევენ, ან რას ვღებულობთ ისეთს, რომლის განახევრებაზეა საუბარი, – აცხადებდნენ ჟურნალისტებთან აქციის მონაწილეები.

ამ თემაზე გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი „მედალფას“ გენერალურმა დირექტორმა **გიორგი აბროლაძემ** გააკეთა:

– რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. 26 სექტემბერს საყოველთაო ჯანდაცვამ ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკა 800 000 ლარით დაჯარიმა. მივიჩნიეთ, რომ დაჯარიმება მოხდა უკანონოდ და ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამისი სარჩელი შევიტანეთ. გადაწყვეტილება 10 ნოემბრამდე უნდა მიგვეღო, რომ მომდევნო სარჩელი შესაბამის ინსტანციაში შეგვეტანა და შეგვეჩერებინა „მედალფას“ შემოსავლებიდან 50 პროცენტის ავტომატურ რეჟიმში ჩამოჭრის პროცესი. ჯარიმის თანხები ბუნებრივია აისახება შემოსავლებში და რა პროპორციითაც არის დანაკლისი, იმ პროპორციით დარიგდება ხელფასები.

სამწუხაროდ, ამ სიტუაციიდან გამოსვლა სხვაგვარად არ შეგვიძლია. ეს ყველაფერი აისახება ხელფასებზე, რადგან ნებისმიერი ხელფასი მიბმულია შემოსავალზე.

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ დაჯარიმდა „მედალფას“ კლინიკა, გიორგი აბროლაძემ ასე განმარტა:

– 2013 წლის 30 მაისს და იმავე წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე კლინიკას 16 ათასი ადამიანი მომამგრეს. ჩვენ სხვა დროს ყველა მომაგრებულზე გვაქვს მომაგრების თანხმობის ფურცელი და ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი. ამ შემთხვევაში, როგორ გვეჭებოდა. ამის გამო დაჯარიმეს საავადმყოფო 800 000 ლარით.

ჩვენ მომსახურება რომ გავუწიეთ მოსახლეობას, ფაქტიური დანახარჯი 7,5-ჯერ მეტია, ვიდრე მივიღეთ შემოსავალი. თანაც 2014 წლიდან საჯარიმო სანქციები გასამმაგდა.

ვართ შეზღუდული გასაჩივრებაში, ჯარიმის თანხის ჩამოჭრის პროცესი კი მიმდინარეობს. ველოდებით ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას. კლინიკას მარტო ხელფასები ხომ არ აქვს, სხვა დამატებითი ხარჯებიც არის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მომსახურების თანხებს 6 თვის დაგვიანებით ვღებულობთ. ამჟამად მაის-ივნისის თანხებს მივიღებთ.

გიორგი აბროლაძის თქმით, „მედალფას“ სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი დაგვიანებულ ხელფასებს მომდევნო კვირაში მიიღებენ.

აივ ინფექცია / შიდსი ისევ მნიშვნელოვანი პრობლემაა მთელ მსოფლიოში

ალიონი. 1 დეკემბერს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, აღინიშნა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. საზოგადოებას შეახსენეს, რომ აივ ინფექცია/შიდსი ისევ მნიშვნელოვანი პრობლემაა მთელ მსოფლიოში.

საზოგადოებრივიმა გაერთიანებამ **„ბემონი“** (ხელმძღვანელი **ირმა შარაშიძე**), ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება ახალგაზრდებს შორის აივ პრევენციისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის“ ფარგლებში, ამ დღეს ოზურგეთში, მეორე საჯარო სკოლაში მოაწყო ღონისძიებები: პლაკატების გამოფენა-კონკურსი, ვიქტორინა „ბრეინრინგი“, რომელიც მიეძღვნა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს.

„ჩვენ ასეთი მეთოდით გადავწყვიტეთ, შევახსენოთ ჩვენს საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი დღე და გვინდა თქვენთან ერთად გამოვხატოთ:

– **სოლიდარობა** იმ ადამიანების მიმართ, ვისაც უშუალოდ შეეხო ეს პრობლემა – აივ ინფიცირებულების, მათი ახლობლებისა და მეგობრების მიმართ;

– **პროტესტი** აივ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა დისკრიმინაციის და სტიგმის წინააღმდეგ“, – თქვა **ირმა შარაშიძემ.**

„ჩვენი ოჯახი ხელისუფლებას დაავიწყდა...“

ნუგზარ ასათიანი

სოფელ ძიმითში, თირის უბანში ჩიტიას მთის ძირში სოციალურად დაუცველი, პედაგოგ ლეილა **მუხაშავრიას** ოჯახი ცხოვრობს. სოციალურად დაუცველი კი არის, მაგრამ რამდენიმე თვის წინ მის ოჯახს სოციალური დახმარების მიღება შეუწყდა და ორი პენსიონერის პენსიის იმედზე არიან.

ორიოდ სიტყვით ოჯახის ისტორიის შესახებ: ქალბატონ ლეილას მამამთილი სერგო მუხაშავრია ცნობილი ექიმი იყო და ოთხ სოფელს ძიმითი, ნაგომარი, აკეთი, ჭანჭათი ემსახურებოდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში, მისი ინიციატივით სოფელ ნაგომარში 55-ადგილიანი საავადმყოფო გაიხსნა, რომლის მთავარი ექიმიც იგი იყო. 55 წელი ემსახურა ბატონი სერგო ამ კეთილშობილურ საქმეს.

ქალბატონ ლეილას მეუღლე, **თენგიზ მუხაშავრია** პროფესიით ინჟინერ-მეტალურგი იყო, მაგრამ მშობლიური კუთხე ვერ მიატოვა და ძიმითის ცნობილ კოლმეურნეობაში მუშაობდა ბრიგადირად.

– დავვოჯახდით. 1981 წელს თირის უბნის ბოლოში დავსახლდით. აქ მთავრდება სოფელი. აქედან ერთ კილომეტრში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი აკეთი იწყება. „ბელეტაჟი“ სახლი ავაგეთ. მე პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ვარ. თირის 100 წლის ისტორიის მქონე დაწყებით სკოლაში ვიმუშავე გამგე-მასწავლებლად. შემდეგ ბავშვების კონტიგენტი 12-მდე რომ შემცირდა, სამინისტრომ თირის სკოლა დახურა და ძიმითის საჯარო სკოლაში ვმუშაობდი სპეციალობის მიხედვით. ახლა პენსიაზე ვარ. თავად ხედავთ ჩემს მდგომარეობას, მეწყერის ჩათვლით ყველანაირი გასაჭირი დაატყდა ჩემს ოჯახს. 10 წლის წინ მეუღლე 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, იმავე პერიოდში დამეღუპა ძმაც: შვილი, სერგო მუხაშავრია მშენებლობიდან ჩამოვარდა, თავი დაიზიანა, 2 წელი საწოლს იყო მიჯაჭვული და 2012 წელს 32 წლის ასაკში გარდაიცვალა, – გვიყვება ქალბატონი ლეილა.

ოჯახში ამჟამად, ქალბატონი ლეილას გარდა, ცხოვრობს: 90 წლის ავადმყოფი დედა მაყვალა გობრონიძე, რძალი ნატო ანდღულაძე, შვილიშვილი ლიკა მუხაშავრია. ლიკა ამჟამად ბათუმის საბუღალტრო სასწავლებელში სწავლობს.

– კაცი რომ არაა ოჯახში, ქალებს გვიწევს მძიმე შრომა. შეშას ვამზადებთ. ჩვენი უბნის საყანე ფართობები სუფსის პირზე შემოუღობავია, არ ითესება და 6 დღე ფიზიკურად ვეხმარებოდი მეზობლებს, რომ 1 წლის ფურისათვის საზამთროდ ჩალა მომემარაგებინა. სამუშაო სოფელში არ არის, ფაროსანამ ძიმითი განსაკუთრებულად ამოიჩემა და თხილის მოსავალი მთლად გაგვინადგურა. თავად ნახეთ, ციტრუსის მცირე ფართობზეც როგორი უხარისხო ნაყოფია. ვინ იყიდის ასეთ უხარისხო ნაყოფს, ან რა შემოსავალს მოგვცემს 200-250 კილოგრამი მანდარინი? – გვიხსნის **ნატო ანდღულაძე.**

მთავარი პრობლემა შეწყვეტილი სოციალური დახმარება და ახლადწამოსული მეწყერია. თუ რა გახდა ამ მეწყერის მიზეზი, ქალბატონი ლეილა ასე ხსნის:

– საუბნო გზა ცუდ მდგომარეობაშია. თირის უბანში ბევრ ადგილასაა მეწყერი. სასმელი წყლის პრობლემაა, თორემ წვიმაში ისეთი ღვარცოფის წამოსვლა იცის ჩიტიას მთიდან, ვერ წარმოიდგენთ. საარჩევნოდ ქვა-ღორღი რომ დაყარეს, მშენებლებს ვთხოვე, გზის ერთ მხარეს არხი გაეკეთებინათ, რომ ქვა-ღორღის დაყრის შემდეგ წყალს გასავალი არ ჩაკეტოდა. არავინ მომისმინა და აი შედეგიც: ერთი თვის წინ ძლიერი წვიმის შემდეგ მანდარინის ბაღი დაიმეწყრა და მომავალში ალბათ მეწყერი კიდევ უფრო საშიში გახდება.

საცხოვრებელი სახლიც დაბზარულია, 4 წლის წინ დამპირდნენ სახურავის შეცვლას, უფროსებიც იყვნენ ოზურგეთიდან, მაგრამ გადაავიწყდათ. ახლახან ძიმითის გამგებლის მოადგილე გელა სალუქვაძე იყო ინჟინერთან ერთად და ვნახოთ, რას იზამენ.

– სოციალურის მოხსნის მიზეზი რა იყო?

– მიზეზს რას გაიგებ. ადრე სარეიტინგო ქულა დაბალი გვქონდა 33 000 და 2012 წლიდან დახმარებას ვიღებდით. წელს, ივნისში გადაამოწმეს და ახლა 69 520 გვაქვს. ამიტომ მოგვიხსნეს დახმარება, – გვიხსნიან ისინი.

კიდევ ერთი შეპირების შესახებ მინდა გითხრათ. შარშან, საპარლამენტო არჩევნების წინ ქალბატონ **ნინო წილოსანს** ვთხოვეთ შვილიშვილს დახმარებოდა სასწავლებელში სწავლის საფასურის გადახდაში. ქალბატონი ნინო შეგვპირდა დახმარებას, „ჩემი ფონდიდან ჩავურიცხავო“, მაგრამ... რომ ავირჩიეთ, რამდენჯერმე დავურეკეთ... არ გვიპასუხა...

–კარგი თუ გაკეთდა თქვენს უბანში რამე?

–კი ბატონო, ახლახან ბუნებრივი აირის მილები ჩადეს მიწაში და იმედი გვაქვს, ბუნებრივი აირი მალე გვექნება...თუმცა ისე შეასრულეს სამუშაოები, მსუბუქი ავტომანქანა ჩემს სახლამდე ვერ მოდის...

პრობლემებზე სოფლის სხვა მცხოვრებელიც გვეუბნებიან: კოხას უბნის მცხოვრები **რეზო მახარაძის** თქმით, შარშან საპარლამენტო არჩევნების წინ კოხას 120-კომლიან უბანს შეპირდნენ, რომ სასმელი წყალი ექნებოდათ.

– რეზინის მილები მოიტანეს.. წელსაც, არჩევნების წინ დაგვპირდნენ, მაგრამ კვლავ უწყლოდ ვართ – გვითხრა **რეზო მახარაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძიმითის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის მოადგილის **გელა სალუქვაძის** თქმით, ლეილა მუხაშავრიას ოჯახი მუნიციპალიტეტიდან დახმარებას საჭიროებს. სახლს სახურავი უნდა შეეცვალოს..

– 4 წლის წინ შეიტანეს სიაში, მაგრამ რატომღაც ასე დარჩა, – გვითხრა მან.

ვანო გოგოლაშვილი, სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილე: – თითოეული ბენეფიციარის პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურია. შეგვიძლია გითხრათ, რომ ქალბატონი ლეილა ანდღულაძის სარეიტინგო ქულა ითვალისწინებს ოჯახის ყველა წევრისთვის სამედიცინო პოლისს და უბნის ექიმის საშუალებით წამლების გარკვეული ჩამონათვალის პროგრამით სარგებლობას. რაც შეეხება მინიჭებული ქულების გადამოწმებას, იგი მათი განცხადების საფუძველზე მომავალი წლის აგვისტოშია შესაძლებელი. (გოგოლაშვილი აღნიშნულ თემაზე მუხაშავრიების ოჯახსაც ესაუბრა).

მაკა გოგიჩაიშვილი, პარლამენტარ ნინო წილოსანის ლანჩხუთის ბიუროს უფროსი:

– თქვენს გაზეთთან გვაქვს საქმიანი ურთიერთობა. სოფელ ბაილეთის პრობლემებზე თქვენ მიერ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ ქალბატონი ნინო დაინტერესდა ამ თემით და გაზის კომპანიის წარმომადგენლებს ესაუბრა. იმედი გვაქვს, ეს თემა მალე გადაწყდება.უყურადღებოდ არც მუხაშავრიების ოჯახს დავტოვებთ– გვითხრა მაკა გოგიჩაიშვილმა.

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა ხმაურიანი გამოდგა

კოლეგებო, ჩემი მხარდაჭერისთვის, ჩემი გვერდში დგომისთვის, ასევე ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის მოსახლეობას, ოზურგეთელ ამომრჩეველს, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენი მხარდაჭერისა და ჩვენი გვერდში დგომისთვის, იცით, რომ საკრებულოში ჩვენ, „ქართული ოცნება“, დემოკრატიული საქართველო“ წარმოდგენილია უმრავლესობით და გპირდებით, რომ აქტიურად და უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მასმედიის საშუალებებთან, ასევე შესრულდება ყველა ის გადაწყვეტილება, რასაც ჩვენ მივიღებთ. შევეცდებით, რომ ყველა დაინტერესებული პირი, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი მოსახლეობა იყოს ჩართული პროცესებში საკრებულო იქნება უფრო ღია და უფრო გამჭვირვალე. ჩვენ ამით ძალიან მნიშვნელოვან საქმეებს გავაკეთებთ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის“.

დავით დარჩიას წინადადებას, თავის მოადგილედ **გიორგი ღურჯუმელიძის** არჩევის შესახებ ერთხმად ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე ყველა დეპუტატმა.

დეპუტატების მიერ ხმის პირდაპირ მიცემა და იქვე განთავსებული კაბინის გამოუყენებლობა გააპროტესტა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ:**

„თქვენ მაქ გაქვთ კაბინა და უნდა მომხდარიყო კენჭისყრის ფარულობა, რაც იყო დარღვეული, აი ასეთ არჩევნებს ატარებდით და ატარებთ თქვენ. დაირღვა ფარულობის პრინციპი“.

ქათამაძეს რამდენიმე დეპუტატმა აქვე შეავება პასუხი, რომ აქ თითოეული ადამიანის ნებაა ვინ როგორ მისცემს ხმას და ვერანაირ პროცედურულ დარღვევას ვერ ხედავენ.

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, სწორედ ამის გამო უხეშად დაირღვა კენჭისყრის კანონი, რაც იმაში გამოიხატა, რომ დეპუტატების ნაწილმა არა საარჩევნო კაბინაში, არამედ უშუალოდ ხმის დამთვლელი კომისიის მაგიდაზე შეავსეს საარჩევნო ბიულეტენები (?!). გაზეთ „ალიონთან“ სდგკ-ს იურისტმა **ირაკლი პაპავამ** განმარტა, რომ ასეთი მოქმედებით დაირღვა ხმის მიცემის ფარულობა.

ფრაქციას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ **გელა არაშიძე** უხელმძღვანელებს, ხოლო საკრებულოს მეორე ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - **დავით მჟავანაძე.**

საკრებულოს სამანდატო, ეთიკისა და იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ **ეროდი გორდელაძე** აირჩიეს; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ - **გია ჩაგანავა;** საკრებულოს განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ - **ლელა საჯაია;** აგრარული კომისიის თავმჯდომარედ- **–გოჩა კილაძე;** საკრებულოს სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის კომისიის თავმჯდომარედ - **ლაურენტი ბიგვავა.**

ხანგრძლივი კამათის საგანი გახდა დამტკიცებულიყო უნდა თუ არა საკრებულოს წარმოდგენილი რეგლამენტი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის **დავით მჟავანაძის** თქმით, რეგლამენტი არ არის აზარტული, უნ ახავში რაღაც ხელი აუწიო:

„აქ ძალიან ბევრი ადამიანია. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა, მე მათთან ვმეგობრობ. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები ხალხმა არ აირჩია იმისთვის, რომ ვთქვათ, რაღაც დავალებები შეასრულონ. ეს ადამიანები არჩეულია საქმის საკეთებლად. და ჩვენ მათ პირველივე სხდომაზე ხელს ვაწევინებთ და ხელს ვაწერინებთ დოკუმენტზე, რომელიც წაკითხული არა აქვს არავის, იმიტომ რომ დღეს შემოვიდა საკრებულოზე?! ეს არის რეგლამენტი, რომლითაც მთელი ოთხი წელი უნდა ვიმუშაოთ და არა აზარტული თამაში, რაღაც ხელი აუწიო. ეს ამომრჩევლის შეურაცხყოფაა. გთავაზობთ გავიაროთ მუხლობრივად, დღესვე ამ საკრებულოს სხდომაზე ან ამოვიღოთ დღის წესრიგიდან და შემდეგ განვიხილოთ. მე არ მეგულება დარბაზში ისეთი ადამიანი, ვინც ხელს მოაწერს დოკუმენტს, რომლის შინაარსს არ იცნობს“.

დავით დარჩიამ პასუხად თქვა:

„დღესვე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რეგლამენტს და სხვა ყველაფერს არაერთხელ განიხილავენ საკრებულოს წარმომადგენლებთან და საზოგადოებასთან ერთად. შეგიძლიათ მიმართოთ კომისიას და აუცილებლად გაითვალისწინებენ თქვენს წინადადებას.“

დავით მჟავანაძე: ბატონო დავით, თქვენი აზრი მაინტერესებს ამ საკითხზე.

დავით დარჩია: ჩემო ბატონებო, მე რაც მიმაჩნია, რა და როგორ იქნება, უკვე ვთქვი აქ ვერაფერს ვერ ვხედავ უცნაერს. ჩვენ ამ საკითხს ერთხელ კი არა, მრავალჯერ მივუბრუნდებით და ძირფესვიანად იქნება ეს საკითხი შესწავლილი დეპუტატების მიერ.

ეროდი გორდელაძე: აღნიშნული რეგლამენტით ჩვენ ვიმუშავეთ ოთხი წლის მანძილზე, ანუ განვლილია ეს. მასთან შეხება გვქონდა თითოეულს, წაკითხული გვაქვს და გამოტანილი გვაქვს დასკვნებიც.

ხმა დარბაზიდან: *„ოთხი წლის განმავლობაში გქონდათ ეს დოკუმენტი და ერთი ცვლილება არ შეგიტანიათ შიგ, ახლა რა ცვლილებებზე ლაპარაკობთ?!“*

კენჭისყრაზე საკითხის დაყენების შემდეგ უმრავლესობის დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკრებულოს რეგლამენტის დასამტკიცებლად შესაბამისი დადგენილების მიღებას.

EU4Business-ის დახმარებით ქართულ კომპანიებს ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა ეძლევათ

კომპანია „მემოგრამის“ დამფუძნებელი გაბრიელ მელივა

საქართველოში ბიზნეს კომპანიების უმეტესობას, 94%-ს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენენ და სამუშაო ადგილების 43%-ს ქმნიან. მიუხედავად ამისა, მათი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 18%-ია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჯერ კიდევ არის თავისუფალი სივრცე ზრდისთვის, თუკი ამ პოტენციალის ასათვისებელი გზები მოიძებნება.

საქართველოს მთავრობაც და ევროკავშირიც აცნობიერებენ ამ რისკებს, ამიტომაც ევროკავშირმა საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა პრიორიტეტად აქცია. ევროკავშირის ინიციატივა **EU4Business**-ი მუშაობს იმისათვის, რომ მცირე და საშუალო საწარმოების წინაშე არსებული დაბრკოლებები აღმოფხვრას, ისეთი როგორიცაა შეზღუდული წვდომა ფინანსებზე, საკანონმდებლო წნეხი და ახალ ბაზრებზე შესვლის სირთულეები.

ევროკავშირის **EU4Business** პროგრამა დაფინანსების, ხელშეწყობის და ტრენინგის მეშვეობით, ეხმარება მცირე ბიზნესს, სრულად გამოავლინოს მისი პოტენციალი. **EU4Business**-ის ფარგლებში მხარდაჭერა ხორციელდება ისეთ ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (**EBRD**) და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ერთ-ერთი ბიზნეს კომპანია, რომელმაც ევროკავშირის დაფინანსებით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარებით **EU4Business**-ის პროგრამის მხარდაჭერა მიიღო კომპანია „მემოგრამია“. კომპანია სთავაზობს ფოტო გადაღების და ბეჭდვის ინოვაციურ სერვისებს. **EU4Business**-ის დახმარებით, „მემოგრამს“ ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა მიეცა, კერძოდ გაუმჯობესა სერვისი, რითაც კომპანიას ბრუნვა გაეზარდა.

„მემოგრამი“ სთავაზობს კომპანიებს ფოტოს ბეჭდვის მარტივ და ინოვაციურ შესაძლებლობას, ასევე მომხმარებელს შეუძლია გადაიღოს, ატვირთოს, გააგზავნოს და დაბეჭდოს ფოტოები რამდენიმე წამში.

ამასთან, **EBRD**-ი დაეხმარა „მემოგრამს“ მომხმარებლებისთვის ახალი სერვისის შეთავაზებაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ეს არის „ფოტორატორი“, თანამედროვე ფოტო ჯიხური - მარტივი და სახალისო მოწყობილობა, რომელიც აერთიანებს გართობასა და რეკლამას.

კომპანია „მემოგრამის“ დამფუძნებელის გაბრიელ მელივას განცხადებით, მისმა ორივე პროექტმა „მემოგრამმა“ და „ფოტორატორმა“, სარგებელი ნახა **EBRD**-ის პროგრამიდან კონსულტაციები მცირე ბიზნესისათვის და ევროკავშირიდან 7 ათასი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი მიიღო. ამ თანხით გაბრიელ მელივამ კომპანიის ვებგვერდები შექმნა. ამასთან, კომპანიამ სხვა დონორებისგანაც მიიღო ფინანსური დახმარება, შედეგად კომპანიამ 15 ერთეული ტექნიკა ააწყო და გაყიდა საერთაშორისო ბაზარზე. მელივა პროფესიით ფინანსისტია და ბანკში მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება აქვს, მაგრამ როდესაც გააცნობიერა, რომ მის ბიზნეს იდეას განვითარების პოტენციალი ჰქონდა, ბანკში მუშაობას თავი დაანება და 2014 წლიდან ბიზნესით დაკავდა.

„მთელი ჩემი პირადი დანაზოგი 10 ათასი ლარის ოდენობის ამ ბიზნესში დავაბანდე. იმ დროისთვის საქართველოს ბაზარზე ამ სფეროში კონკურენცია დაბალი იყო, მხოლოდ ერთი კომპანია სთავაზობდა დაახლოებით იგივე სერვისს მომხმარებელს, თუმცა ის არ იყო ინტერაქტიული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ფოტო ინდუსტრიაში უფრო ინტერაქტიული და ინოვაციური სერვისების მიწოდებით, ჩემი ბიზნესი გაფართოვდებოდა,“—განაცხადა მელივამ.

ბაზარზე სამწლიანი საქმიანობის შემდეგ, მელივას თქმით, კომპანიამ შეძლო 600-მდე ფოტო გადაღების სერვისის განეხორციელებინა. „თუ თავდაპირველად ორი-სამი ფოტო გადაღების სერვისს ვეწეოდით ყოველთვიურად, ახლა ამდენივე სერვისის მიწოდებას ყოველდღიურად ვახერხებთ. ჩვენი სერვისის უნიკალურობა არის ის რომ შენ შეგიძლია ერთდროულად გადაიღო, დაბეჭდო და გააზიარო მაღალი ხარისხის ფოტოები.“

ბიზნესის კიდევ უფრო გაფართებისთვის მელივა მიიჩევს, რომ საჭიროა მომხმარებლებისთვის მეტად ინოვაციური და ახალი სერვისების მიწოდება. „ბაზარზე პროფესიონალი კადრების დეფიციტია, ასევე ჩვენ გვიწევს საზღვარგარეთ შევიძინოთ მომსახურებისვის საჭირო მასალები. მსგავსი სირთულეები აფერხებს მცირე ბიზნესის ზრდას,“ განაცხადა მელივამ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის **იანოშ ჰერმანის** განცხადებით, ევროკავშირი წლებია მხარს უჭერს ეკონომიკურ რეფორმებს და მცირე ბიზნესს საქართველოში, **EU4Business**-ის პროგრამა კი უზრუნველყოს სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის მათზე მორგებულ მხარდაჭერას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

„**EU4Business**-ი აერთიანებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ მთელ რიგ პროგრამებს შემდეგი მიზნის მისაღწევად: გაიზარდოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მათ მიეცეთ საკუთარი პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა, რათა მათ შეძლონ გამოიყენონ ის უპირატესობები, რომელსაც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა აძლევთ. აღნიშნული პროგრამები მცირე ზომის კომპანიებს სესხის მარტივად აღების შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება მათ განვითარებასა და გაფართოებაში, პროდუქციის ექსპორტზე გატანაში და ახალ ბაზრებზე შესვლაში,“ განაცხადა ელჩმა.

EBRD-ის კონსულტაციები მცირე ბიზნესისათვის პროგრამის მენეჯერის სევერიან ღვინეფაძის განცხადებით, **EBRD**-ში ხშირად ადასტურებენ, რომ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის ხერხემალია. ამდენად, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, მცირე და საშუალო ბიზნეს სჭირდება თანმიმდევრული კონსულტაცია და ტექნიკური ცოდნა, რათა განავითაროს და გაზარდოს ბიზნესი.

„**EBRD**-ის კონსულტაციები მცირე ბიზნესისათვის პროგრამის გუნდი აკავშირებს მცირე და საშალო ბიზნესის სექტორს ადგილობრივ კონსულტანტებთან და საერთაშორისო მრჩეველებთან, რათა განახორციელონ რეალური ცვლილებები - ტრანსფორმაცია მოახდინონ ბიზნესების და სრულად ისარგებლონ იმ ადგილობრივი და საერთაშორისო შესაძლებლობებით, როგორიცაა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა,“ განმარტა ღვინეფაძემ.

ციფრები საუბრობენ მოცულობაზე: მხოლოდ გასულ წელს, **EU4Business**-ის ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის - კონსულტაციები მცირე ბიზნესისთვის ფარგლებში 100-ზე მეტ მცირე და საშუალო ზომის საწარმოს გაეწია საკონსულტაციო მომსახურება. **EBRD**-ის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ბიზნეს კომპანიების 84%-მა გაზარდა ბრუნვა, მაშინ როცა 66%-მა შექმნა ახალი სამუშაო ადგილები.

"ჩვენი სერვისების მიმართ მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და მოხარულნი ვართ, რომ არამხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს ვუცხადებთ მხარდაჭერას, არამედსაკონსულტაციო ინდუსტრიის განვითარებასაც ვახდენთ მიზნობრივი ტრენინგ მოდულებისა და სასწავლო კურსების საშუალებით,“ განაცხადა ღვინეფაძემ.

EU4Business-ი, რომელიც მანამდე **SME Flagship** ინიციატივის სახელით მოქმედებდა, ქართულ ბაზარზე 2009 წლიდან აქტიურობს ისეთ პარტნიორებთან ერთად როგორებიც არიან - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ამ პერიოდში, პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა გაუწია 63 ათას საწარმოს ქვეყანაში და გამოყო 700 მილიონ ევროზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. **EU4Business**-ის მიერ მხარდაჭერილი ბიზნესების ჩამონათვალი დიდია, დაწყებული თხილის მწარმოებლებიდან ტურისტულ საწარმოებამდე და მეღვინეობიდან სტომატოლოგიურ ქირურგიამდე.

იმისათვის რომ კომპანიის კორპორატიული კულტურა კიდევ უფრო დაიხვეწოს, გოოდფორყოუხელს უწყობს კომპანიის თანამშრომლების კეთილდღეობას ჯანსაღი ჩვევების გამომუშავებას და გართობას. **EBRD**-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერა ამ კომპანიის მიმართ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია კომპანიას შეისწავლოს და ბიზნესის განვითარებისთვის ახალი ნიშა იპოვოს.

Goodforyou-მ 10 ათასი ევროს ღირებულების დაფინანსება მოიპოვა **EBRD**-ის პროგრამის კონსულტაციები მცირე ბიზნესს, რომელსაც შვედეთი და ევროკავშირი აფინანსებს. თანხა საკონსულტაციო მომსახურებას, ვებგვერდის შექმნას, შინაარსის განვითარებას და ციფრულ მარკეტინგს მოხმარდა.

კომპანია "**Goodforyou**" ხელს უწყობს კომპანიის თანამშრომლების კეთილდღეობას,

კომპანიის დამფუძნებლის სურია კუმარის განცხადებით, ყოველდღიური ცხოვრების დაძაბულ რიტმში, პირადი, კარიერული თუ მსოფლიო პრობლემების გადაჭრით მოცულებს, გვიჭირს შევინარჩუნოთ ჯანსაღი ცხოვრების ბალანსი.

„სწორედ ამიტომ, ჩვენ შევქმენით **Goodforyou** - პროგრამა, რომელიც მორგებულია პროგრესული კორპორაციული კულტურის მქონე ორგანიზაციაზე, დაეხმაროთ თქვენს თანამშრომლებს შეიძინონ და განამტკიცონ ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები,“—განაცხადა კუმარიმ.

სამთვიანი გამოწვევა მიზნად ისახავს წაახალისოს ციფრული ნაბიჯების მთვლელებით შეიარაღებული თქვენი გუნდები, რათა მათ, დღეში მინიმუმ 10 000 ნაბიჯი გაიარონ და ვირტუალურ სამყაროში, ერთმანეთს ევროპის გარშემო მოგზაურობაში შეეჯიბრონ. გამოწვევა მოიცავს სამოტივაციო და საგანმანათლებლო პროგრამას, გუნდების მაღალი ჩართულობისა და ჯანსაღი ჩვევების განსამტკიცებლად.

Goodforyou-ს დამფუძნებელი ამჟამად პროდუქტის გაყიდვის სტრატეგიაზე მუშაობს, რომ შესთავაზოს პოტენციურ კლიენტებს. „პროდუქტს ვცდით, რომ განვსაზღვროთ ფასი. სამიზნე აუდიტორია ვფიქრობთ რომ საშუალო რგოლის მენეჯერები იქნებიან,“ განაცხადა კუმარმა.

EU4Business-ი ასევე უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზსს ადგილობრივი ბანკებისთვის მცირე და საშალო ზომის საწარმოების მხარდასაჭერად. ეს საშუალებას აძლევს ბიზნესებს მიიღონ საჭრო ინვესტიცია რომელიც მათ განვუთარებაში დაეხმარება, მაგალითად იყიდონ ახალი დანადგარები, რომელიც მათ შეუმცირებს ხარჯებს და საშუალებას მისცემს გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ.

და ეს არ არის მხოლოდ ფული: მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ საკონსულტაციო მომსახურებით, ასევე კრედიტით, მაგალითად შეცვალონ კომპანიის მართვის სტილი ან გაეცნონ ონლაინ მარკეტინგის ახალ პლატფორმებს - და ამით კომპანია მიიღებს არა მხოლოდ კონსულტაციას არამედ, გაიყოფს ხარჯებს. სხვა პროექტები მეწარმეებს სთავაზობენ ტრენინგებს, კავშირების დამყარების შესაძლებლობებს, ეხმარებიან მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობის გამოფენებში და ფორუმებში, ეხმარებიან კომპანიებს გაზარდონ ხარისხი, რათა დაუახლოვდნენ ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტისთვის საჭირო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

ზოგიერთი მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომპროცედურულად დონორებისგან მხარდაჭერის მიღება ძალიან რთულია. თუმცა გაბრიელმელივა მოუწოდებს ყველა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის მფლობელებს, რომ მონაწილეობა მიიღონ და არ გამოტოვონ ეს შესაძლებლობა, რადგან დაჟინებით აღნიშნავს, რომ პროცედურები არის ძალიან მარტივი.

განმცხადებელი იწყებს კონკრეტული განაცხადის ფორმის შევსებას (**ENG GEO**), სადაც შეაქვს ყველა საჭირო ინფორმაცია პროექტის მიზნებზე და შინაარსზე, ასევე დეტალურად აღწერს რა სახის საკონსულტაციო სერვისის მიღება სურს.

Memogram-ისა და **Goodforyou**- ის მაგალითები ცხადყოფს, რომ ის, რაც გუშინ შეუძლებელიიყო, დღეს ის უკვე შესაძლებელია და ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის **EU4Business**- ისა და მისი პარტნიორების მეშვეობით.

სტატია მომზადებულია პროექტ „ევროკავშირის მეზობლები - აღმოსავლეთის“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები ერთპიროვნულად მასალის ავტორის მოსაზრებებს წარმოადგენს

ავტორი: **თამარ ხურცია**

გურული უმადურობის სინდრომი(?!)

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ამას წინათ ცნობილი ოზურგეთელი მხატვარი ვალერი მახარაძე მიამბობდა: ახლაღა აღმოვაჩინე, რომ გურულებს თურმე უმადურობის სინდრომი შემოგვეპარა და ეს სენი კიდევაც დაგვჩემდაო...

არადა, უმადურობის ფენომენის გურულ საწყისზე მანამდის, ალბათ, არავის უფიქრია და თავდაჯერებულ მოსაუბრეს მოკრძალებითაც კი შევბედე, უმადურობის კონტექსტში რას გულისხმობ-მეთქი?!.

მერე და მერე გულითად საუბარში ისიც გაირკვა, რომ მას მხედველობაში თურმე დაუდევრობისა და ერთგვარი ვანდალიზმის ტოლფასი პრეცედენტი ჰქონდა: ვიღაცებს სულმნათი ეგნატე ნინოშვილის ბიუსტისთვის თავი დაუნდობლად მოუმტვრევიათ და კიდევაც გაუქრიათ(!)...

ბატონ ვალერისთან საუბრისას ისიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ უსათუოდ მისახედი და დროულად მოსაწესრიგებელია

ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერი, ასევე უნდა კეთილმოეწყოს მიმდებარე ტერიტორია, ხოლო იქაურობა ურნებითა და ტროტუარებით უნდა აღიჭურვოს.

ასევე სასურველია ამ ქუჩაზე სკოლისაკენ აღმავალ კიბეს მოაჯირი გაუკეთდეს.

აქ ბარემ ისიც სათქმელია, რომ ახლომდებარე უბნებში მცხოვრებთ პანიკურად ეშინიათ გაწვიმების (არ იფიქროთ, მარტოოდენ თქეში ან თავსხმა წვიმა აშინებდეთ): ჩვეულებრივი წამოწვიმების დროსაც კი ნინოშვილის ქუჩა ლამის მთელ პერიმეტრზე გაუვალი ხდება... სანიაღვრე არხებიც უსათუოდ უნდა გაიწმინდოს, თანაც პერიოდულად... თანხა უნდა გამოიყოს კაპიტალური სკამების დასადგმელად და დასამონტაჟებლად, რადგანაც, დაუმონტაჟებელ სკამებს (გინდ დაიჯერეთ და გინდ არა), განუკითხავად იპარავენ ხოლმე...

ნინოშვილისეული ბიუსტის ხელყოფის ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ მხატვარ-პედაგოგ **ვახტანგ მამეიშვილს.**

მისი თქმით, მომხდარი პრეცედენტი მართლაც ერთობ აღმაშფოთებელია და გადაუჭარბებლადაც შეიძლება აღინიშნოს, ერთგვარი მკრეხელობის ტოლფასია.

მხატვრის მოსაზრებით, იუსტიციის სახლში, ალბათ (თუნდაც ესკიზების სახით), ეგნატისეული ძეგლის ასლი ინახება და საჭიროების შემთხვევაში, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ოზურგეთელი მხატვრები მზად არიან ხელახლა და თანაც უშურველად, თვითონ ჩამოასხან ჩვენი სასიქადულო კლასიკოსის ბიუსტი.

ლექსები, რომელიც სამყაროს სულიერი გადმოსახედიდან იჭვრიტება

ამ მომცრო წიგნის გარეკანზე გამოსახული პირმშვენიერი ქალატონი ეთერ ბასილაშვილია. ბუნებრივია, რა განძიც წიგნში ძევს, მისი შექმნილია.

როგორც წინათქმაში ვკითხულობთ, თვით დიდი გალაკტიონი ქალბატონ ეთერ ბასილაშვილს „დახვეწილი ლექსების ავტორად“ მოიხსენიებს.

ვერ გეტყვით, სულ რამდენი ლექსი აქვს დაწერილი ქალბატონ ეთერს, რომელმაც სამარადჟამო „დიდ სოფელში“ 17 წლის წინათ გადაინაცვლა, მაგრამ იმის თქვა ნამდვილად შემიძლია, რომ კრებულში თავმოყრილი 21 ლექსიდან ზოგი „დროშად იბერთა ალმოდებული წიგნის ფურცელია“, ზოგი – „ქართული აზრის დაფარული ედემი“, ზოგიც კიდევ – „საწუთროსთან მოგებული ომები“.

წიგნი გამოსაცემად მომზადდა „ხელნაწერთა კვლევის ცენტრის“ თანადგომით, დაიბეჭდა გამომცემლობაში „მთაწმინდა“, რედაქტორ-შემდგენელია ზურაბ კალანდაძე.

მადლობას ვუხდით პოეტის ძმისშვილს, ქალბატონ ლალი ბასილაშვილს, რომელმაც ქართველი პოეტი ქალის უანგარო სიყვარულის სითბოთი სავსე ეს მშვენიერი წიგნი გვისახსოვრა.

წმინდა წერილი

წინ მიდევს შენი წმინდა წერილი,
ათასწლეულთა წინ დაწერილი,
ასომთავრული,
ასონუსხური,
მათი ჯადოთი ვარ მონუსხული.
მთაზე ათონზე,
მთაზე სინაზე,
შენ ცოცხალი ხარ მტრების ჯინაზე.
უკვდავებისთვის
თვით მიგიგნია,
იგი აზრია, იგი წიგნია
და არსად არის
ძალა ისეთი,
რომ არ იძლიოს
შენი ქრისტეთი.

ეთერ ბასილაშვილი

დასაქმება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში
- რას სთავაზობს Staracademy ქართველ სამსახურის მაძიებლებს

ამერიკაში მუშაობასა და მოგზაურობაზე ძალიან ბევრი ახალგაზრდა ოცნებობს. ამ სურვილის ასრულება ქართველი სტუდენტებისთვის **Staracademy**-ს დახმარებით უკვე შესაძლებელია.

სტარტაპი მიმდინარე წლის აპრილში დაარსდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, გაცვლით პროგრამებს ახორციელებს. სულ ცოტა ხნის წინ **Staracademy** „თიბისი ბანკის“ პროგრამა „სტარტაპერში“ ჩაერთო და განვითარების შემდეგი ეტაპისთვის სტარტაპ სესხით სარგებლობასაც აპირებს. კომპანიის შესახებ „ბიზნეს-პრესნიუსი“ **staracademy**-ს პროექტების მენეჯერს, ლალი ჯოხაძეს ესაუბრა.

Staracademy ამ ეტაპზე ორ პროგრამას ახორციელებს. ჭორკ ანდ თრაველ - წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სტუდენტურ პროგრამას, რომელც საზაფხულო არდადეგების პერიოდში, ქართველ სტუდენტებს აშშ-ში ცხოვრებისა და დასაქმების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამა ხორციელდება CIEE (Council on International Educational Exchange) მხარდაჭერით, რომელსაც ამერიკაში სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს პროგრამების ადმინისტრირება.

რაც შეეხება TESOL -s - Teacher(s) of English to Speakers of Other Languages (სხვა ენაზე მოსაუბრეთათვის ინგლისურის მასწავლებელი) — ეს ინგლისური ენის სწავლების უნიკალური მეთოდი და სერთიფიკატია, რომელიც იძლევა ინგლისური ენის სწავლების უფლებას ისეთ ქვეყნებში, სადაც ინგლისური არ არის ოფიციალური ენა. ამ ეტაპზე ეს ქვეყნებია, ჩინეთი და ტაილანდი, თუმცა ვმუშაობთ სხვა ალტერნატივებზეც.

რას სთავაზობს staracademy მომხმარებლებს?

ჩვენ სტუდენტებს ვთავაზობთ გარანტირებულ სამსახურს და მაღალ ანაზღაურებას. ამერიკაში **Work and Travel**-ში ჩართულ სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა მომსახურების სფეროში დასაქმება.

TESOL-ის პროგრამის მონაწილეებს, **staracademy** სთავაზობს კარიერულ განვითარებას, ცოდნის გაღრმავების, სამსახურის მოძიებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მონაწილეს ახალგაზრდებთან ჰქონდეს მუდმივი ინტერაქცია და რასაკვირველია, მიიღოს მაღალი ანაზღაურება.

ვის შეუძლია ამ პროგრამებით სარგებლობა და რა არის საჭირო რეგისტრაციისთვის?

- **Work and Travel**-ით სარგებლობა შეუძლიათ უნივერსიტეტის I, II და III კურსის სტუდენტებს, რომლებიც

ვაძლევთ სტუდენტს და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე სამსახურის გარეშე დარჩენილიყო. **work and Travel** მოიცავს 4 თვიან საზაფხულო პროგრამას, აქედან მონაწილე მუშაობს 3 თვე. მე-4-ე

თვეს კი შეუძლია იმოგზაუროს. აღსანიშნავია, რომ

პროგრამის მონაწილე ყოველთვიურად გამოიმუშავებს 1500-დან-5000 დოლარამდე.

TESOL-ის პროგრამა კი მოიცავს 3 თვიდან 1 წლამდე ხანგრძლივობის სამუშაოს, სადაც პროგრამის მონაწილე იმაღლებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ხელფასი ამ პროგრამაში, ყოველთვიურად

1500დან - 5000-მდე ამერიკულ დოლარამდე მერყეობს.

კონკრეტულად თქვენი ჩართულობა რაში მდგომარეობს, სტუდენტებს რაში ეხმარება staracademy?

„staracademy" უზრუნველყოფს ამერიკაში, ჩინეთსა და ტაილანდში სამუშაოდ წასვლის ყოველი ეტაპის სრულყოფილებას.

ჩვენ ვეხმარებით სტუდენტებს, მოვიძიოთ მათთვის შესაბამისი სამსახური, ვეხმარებით ვიზისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის მომზადებაში და ზოგადად სავიზო პროცესების წარმატებით მოგვარებაში, ასევე საერთაშორისო სერტიფიკატების აღებაში.

როგორია staracademy-ს სამომავლო გეგმები?

ჩვენი კომპანია თანამშრომლობს საერთაშორისო დონის ორგანიზაციებთან და სამომავლოდ იგეგმება მათთან ერთად, სხვა ახალი და საინტერესო პროგრამების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად, გაცვლითი პროგრამები საზღვარგარეთ სხვადასხვა უნივერსიტეტში, სტაჟირება უცხოეთში **და ა.შ.**

bpn.ge

სამყაროს წარმოშობა

წერილი მესამე

პირველადი ელემენტები

მთელი ჩვენი სამყარო, ხილული თუ უხილავი ნაწილებით შექმნილია ჩვენთვის კარგად ცნობილი თუ ზოგიერთი ჯერ კიდევ უცნობი ქიმიური ელემენტებით, რომელთაგან თითოეულს დანარჩენისაგან აშკარად განსხვავებული ქიმიური თუ ფიზიკური თვისებები გააჩნიათ. ერთგვარი ელემენტები ქმნიან ერთგვაროვან ნივთიერებებს, მათ შორის ზოგი თუ თავისი მნიშვნელობით ჩვენთვის ნაკლებად ღირებულია, ზოგიც ძვირფასია, ზოგი სიცოცხლისათვის აუცილებელია, ზოგიც ძალზე საშიში და მავნებელია. საყაროში არსებულ თითოეულ ქიმიურ ელემენტს თავისი საწყისი , თავისი პირველადი საწყისი გააჩნია.

ერთგვაროვან ელემენტთა ჯგუფები გარკვეული ძალების ზემოქმედებით თანდათანობით ქმნიდნენ მენდელეევის ცხრილის ცალკეულ ელემენტებს. მიმდინარეობდა სამზადისი ჯერ მატერიის, ხოლო შემდეგ სამყაროსა და სიცოცხლის წარმოსაშობად. ისმება კითხვა: რას წარმოადგენს პირველადი ელემენტი თავისი ბუნებით? პირველადი ელემენტის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა მენტალური სამყარო, ხოლო მისი სტრუქტურა გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

— აზრის პირველადი ნაწილაკი;
— ენერგიის პირველადი ელემენტი;
— მენტალური ველის პირველადი ნაწილაკი;
— საკუთარი ვიბრაცია;
— ჰიპნოზი;
— საკუთარი შინაგანი ბუნება;
— საკუთარი წონა.

აინშტაინის მოსაზრება მატერიისა და ენერგიის ერთი და იგივე მოვლენის ორ ასპექტად მიჩნევის შესახებ სრულყოფილად ასე შეილება ჩამოყალიბდეს:

პირველადი ელემენტები მოიცავს ერთი და იგივე მოვლენის შვიდ ასპექტს, რომელთა საფუძველზე შეიქმნა სამყარო. აქ აზრის ნაწილაკის არსებობა იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც მის გარეშე ვერავითარი მატერიითა და ენერგიით სამყარო ვერ შეიქმნებოდა.

ასეთია ლერისონისა და სხვა ცნობილ თეოლოგთა აზრი.

ჩვენ არ ვიცნობთ პირველადი ელემენტის წარმოშობას. რამდენადაც ეს არის ადამიანებისათვის ზესაიდუმლო. ეს პროცესი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის პრეტოგატივაა და იგი ჯერჯერობით ადამიანის მიერ ამოუხსნელ საიდუმლოდ დარჩება.

დასტურდება, რომ პირველადი მაგნიტური ველი, პირველადი აზრი და პირველადი ენერგია ერთმანეთთან შერწყმულები, ერთდროულად და ერთ არსად წარმოიშვენ. პირველადი აზრის ნაწილაკი არის ენერგიის მატარებელი მისი დასაბამიდანვე.

პირველადმა მაგნიტურმა ნაწილაკებმა შექმნეს ცენტრალური ენერგოსისტემა, რომელიც აზროვნების სისტემას უნდა გამოეყენებინა პროცესების სამართავად. თითოეული ვარსკვლავის ბრუნვა ღერძის გარშემო თითოეული პლანეტის მოძრაობა ელიფსზე თუ საკუთარი ღერძის ირგვლივ, ყოველგვარი ზეციური მოძრაობა განპირობებულია ცენტრალური მაგნიტური სისტემიდან გამოსული მაგნიტური სხივებითა და მენტალური აზროვნების მიერ მასში ჩადებული ენერგიითა და პროგრამით.

მისით ხდება ყოველგვარი ინფორმაციის მიღება და გავრცელება, რის შემდეგაც მენტალური სამყარო საქმის კურსშია რა მდგომარეობაა სამყაროს ნებისმიერ წერტილში. მისი საშუალებით ხდება იმ ენერგიების დაგზავნა სამყაროში, რომლითაც სრულდება მცირე და ვეებერთელა პროცესები. მისი საშუალებით მოქმედებენ სამყაროს განვითარების კანონები. იგი არის სიცოცხლის წარმოშობისა განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

სამყაროს განვითარების პროცესებთან ერთად არსებობს ერთი ასეთი კითხვაც, საიდან მომდინარეობს ის ძალა და გონიერება, რომელმაც ჯერ შექმნა პირველადი ელემენტები, ხოლო შემდეგ მათგან — მთელი სამყარო. ამასთან ერთად რა ხნის მანძილზე შეიძლება ეჭიროს ამ ძალას თავის გავლენის ქვეშ სამყარო. რამდენადაც ქვეყანაზე მარადიული არაფერია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ძალებიც დროთა განმავლობაში შესუსტდებიან და საბოლოო ჯამში ყველა პირველადი ელემენტი მისი ზემოქმედებისაგან განთავისუფლდება. ამას აუცილებლად მოჰყვება მათი უსასრულოდ შემცირება და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

სამყაროს ურთულეს მოვლენებში ჩაწვდომილი ადამიანების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მთელი დიდი სამყარო ოდესმე დაიწყებს უსასრულოდ შემცირებას წერტილამდე, შემდეგ თვით წერტილიც გაუჩინარდება და ამგვარად მთელი სამყარო კვლავ „არარაობად“ გადაიქცევა (მილიარდობით წლის შემდეგ).

ყოველივე ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყება. გაჩნდება რაღაც წერტილი, რომლისგანაც კვლავ გაიშლება და განვითარდება ახალი სამყარო.

(გაგრძელება იქნება)

გურამ ცერცვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი.

სკანვორდი





№ 47-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი; თმის საღებავი — ინა; „იაპონია“ გურიაში — ჯაპანა; „არსენას“ პერსონაჟი — ფარსადანი; უძველესი შრომის იარაღი — წალდი; ეთიოპიის დედაქალაქი — ადისაბება; სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული — სადროშო; მწვანილი — პრასი; უბრალო — სადა; ფანჯრის საფარი გარედან — დარაბა; დიმიტრი მოფერებით — დიმა; დოლი მიცვალებულის წლისთავზე — სადგინი; დასარტყმელი ინსტრუმენტი — დაირა; მუსიკალური ინსტრუმენტი — როიალი; სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში — საზანო; კანის ტუბერკულოზი — მგლურა; ქალაქი თურქეთში — ანკარა; მოხეული სიმღერა — ადაიადა; რძის ნაწარმი — დო; ნაწნავი — დალალი; ყორაღი ჯარისკაცი ... — შვეიკი; ხელშეუხებლობა — ტაბუ; ცეცხლის ენა — ალი; ინდივიდუალურად ცეკვა —სოლო; ვრცელი ჩამონათვალი — არზა; თვალის გადამფარველი გარსი — ლიბრი; ახალგაკაფული ტყე - ახო; ძვირფასი ლითონი — ოქრო; ბელგიური ნაგახი — ტერვიურენი; ჩიტი — სირი; სოფელი ლუშეთის მუნიციპალიტეტში — ბურსაჭილი; მესამე პირის ნაცვალსახელი — ის; თოვგინა — ბარბი; ანბანის მეცხრე ასო — ი; ხერხემლის გამრუდება— კიფოზი; ჭაობის მცენარე ჭილი.

თეატრის თემაზე ვასრულებთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჯანუყვაძის პუბლიკაციების ბეჭდვას. ამჯერად გთავაზობთ „თეატრალურ დაიჯესტს“

თეატრალური დაიჯესტი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №№31-32, 35-38, 41

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები 70-იან წლებში. პირველ რიგში მარჯანიდან მე-3 ვაჟა ჭანუყვაძე

შორეული და სუსხიანი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების მერე, თეატრალური საქმიანობას ჩვეულ რიტმში განვაგრძობდით.

იმხანად გორის თეატრის დირექტორთან შოთა ჯვაროძესთან ერთად წინასწარ დავთქვით, რომ ერთმანეთს საგასტროლო ტურნეს პერიოდში შევხვედროდით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ იმხანად ჩვენს თეატრალურ კოლექტივებს შორის ურთიერთგაგება და სიყვარული სუფევდა.

აღნიშნული გასტროლები ალბათ საუკეთესო იყო თეატრის შემოქმედებით ისტორიაში!..

ამავე დროს აღნიშნულმა საგასტროლო ტურნემ ცხადჰყო, რომ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი შეინიშნებოდა, - როგორც რეპერტუარის შერჩევის, ასევე დისციპლინის, სამსახიობო ოსტატობის ამაღლების მხრივ და სხვა საკითხებში, რომელთა გამოსასწორებლად შემდგომში მუდამ ტარდებოდა საჭირო და ქმედითი ღონისძიებანი.

თეატრში ჩემი მუშაობის წლებში წარმატებული გასტროლები შედგა ზუგდიდში, ცხინვალში, თელავში, ისევ ზუგდიდში.

აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყო ცხინვალში ჩატარებული გასტროლები, სადაც მაშინ მართლაც შინაურულად ვგრძნობდით თავს. მასპინძლები მეტად სტუმართმოყვრულად გვექცეოდნენ, - ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან სასტუმროში, ლუდის ქარხანაში ჩვენთვის სპეციალურად ასხამდნენ ორლიტრიან ქილებში დაკუპაჟებულ ლუდს და რა თქმა უნდა, ფულსაც არ გვახდევინებდნენ...

მაშინ ჯერ კიდევ არანაირი ნიშანი არ ჩანდა იმ შუღლისა და ქიშპისა, რომელიც შემდეგ გაღვივდა ქართველებსა და ოსებს შორის!..

იმხანად ყველაზე ღირსსახსოვარი მაინც ზუგდიდში გამართული საგასტროლო ტურნე იყო.

ადგილობრივი თეატრის დირექტორმა ალექსანდრე ეგუტიამ, ბეჟან ნაკაიძესთან დაწყებული მეგობრობა, თეატრალური ურთიერთობებით გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა...

ამასობაში გურამ აბესაძემ დაამთავრა თავისი სტაჟირება, დაბრუნდა და ერთი სპექტაკლი, - გ. ნახუცრიშვილის „ალი ბაბა“ დადგა, თუმცა მას უკვე „ეცოტავებოდა“ ოზურგეთის თეატრი და ბათუმის თეატრში გადასვლაზე ოცნებობდა და კიდევაც მიაღწია მის მთავარ რეჟისორობას.

ბათუმის თეატრის რეჟისორ ენვერ ჩხაიძეს, რომელსაც მოწვევით ვადგმევინებდით ხოლმე სპექტაკლებს, პირადად ვთხოვე ჩვენთან გადმოსულიყო მთავარ რეჟისორად, მაგრამ იგი ვერ შეელია მშობლიურ თეატრს.

ჩვენს თეატრში რეჟისორად მოვიდა პერსპექტული ოზურგეთელი შემოქმედი ვასილ ჩიგოგიძე, რომელმაც არაერთი საინტერესო დადგმა განახორციელა. მათგან აღსანიშნავია დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ და ვ. მაკავენკოს „ტრიბუნალი“.

ცოტა ხანში იგი ზუგდიდის თეატრის მთავარ რეჟისორად გადაიყვანეს საშა ეგუტიას რეკომენდაციით, ჩვენს თეატრს კი მთავარ რეჟისორად დაუნიშნეს სერგო ახალაძე.

იგი ადრე მსახიობად მუშაობდა ოზურგეთის თეატრში. შემდეგ გაიარა სარეჟისორო სტაჟირება და არცთუ უპერსპექტივო რეჟისორი გამოდგა.

საქართველოს სხვადასხვა თეატრში მან არაერთი საყურადღებო დადგმა განახორციელა. თუმცა, ხანგრძლივად ფეხი ვერსად მოიკიდა თავისი ჯიუტი ხასიათის გამოისობით.

ბატონმა სერგომ ოზურგეთის თეატრში რამდენიმე საგულისხმო დადგმა განახორციელა. მათგან აღსანიშნავია შ. ქურდიანის „ათენელი ექიმი“ და ე. ნინოშვილის „ნინოშვილის გურია“ (შ. დადიანის ინსცენირებით).

ამ სპექტაკლზე ხაზგასმით შევჩერედები.

აღნიშნული პიესის დადგმა მას ადრეც ჰქონდა განზრახული.

როლების იმდროინდელი განაწილებაც ცხადჰყოფდა, რომ ეს იყო მთელ დასზე გამიზნული სპექტაკლი, სადაც სცენის მუშები და ზოგიერთი მეგარდერობეც კი იყო ჩართული მასობრივი სცენების გამდიდრების მიზნით.

„ნინოშვილის გურია“ ადრე დაიდგა მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრში, მწერლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ბატონმა სერგომ ისიც წრფელად აღიარა, რომ მისი ადრინდელი ოცნება იყო ამ სპექტაკლის ხორცშესხმა და მისი ოზურგეთის თეატრში ჩამოსვლაც ამ მიზანს ემსახურებოდა. მეც გვერდში დგომა და ყოველმხრივ დახმარება აღვუთქვი.

ბატონ სერგოს დანაპირები პირნათლად შევუსრულე და შეძლებისდაგვარად ფინანსურადაც გავუმართე ხელი. საგანგებოდ მის ხელშესაწყობად თეატრში მოვიწვიეთ ოზურგეთის მკვიდრი, შესანიშნავი მხატვარი მამია მალაზონია.

აქ ისიც აღსანიშნავია, რომ სერგო ახალაძეს ხელთ ჰქონდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისთვის შ. შველიძის მიერ სპეციალურად დაწერილი მუსიკის პარტიტურა, რომელიც ცოცხალ ორკესტრს უნდა შეესრულებინა. ასევე საგანგებოდ გამოვძებნეთ ოზურგეთში მოღვაწე ძველი ორკესტრანტები: დიმიტრი კალანდაძე, ძმები ამირან და ავთო ჭანიშვილები, კოტე ჩხაიძე, ილია გოლიაძე, ასევე სხვები და ენთუზიაზმით შევუდექით საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას. ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ მზა კოსტიუმები სავსებით უსასყიდლოდ გადმოგვცა მარჯანიშვილის თეატრმა.

პრემიერას (რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას), სრული ანშლაგით ჩაიარა, მრავლად ესწრებოდნენ უამრავი მაყურებელი, როგორც გურიის სამივე რაიონიდან, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან.

ვაჟა ჭანუყვაძე

სულთათანა

კაკო კალანდარიშვილის ხსოვნას



ჩემო ძმაო კაკო (კირილე - მიხაილოვიჩ), ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ეს წუთისოფელი დატოვე; ვერ ვაცნობიერებ და მიჭირს იმასთან შეგუება, რომ აღარ ხარ ჩვენს გვერდით. მეხის გავარდნასავით შემზარა ჩემი სამი ძმის გარდაცვალებამ და ზუსტად იგივე განვიცადე მაშინ, როდესაც შენი გარდაცვალების შესახებ გავიგე. შენ ხომ დედაჩემს მეხუთე შვილად ჰყავდი მიღებული...

ეს იმიტომ, რომ იყავი ძალიან თბილი, მიზანდასახული, ზრდილობიანი კაცი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, უაღრესად მშრომელი და ყველას გვერდით მდგომი ადამიანი, მრავალი გზააბნეული ახალგაზრდის სწორ გზაზე დამყენებელი.

მე მადლობას ვწირავ უფალს და მამა მათეს იმისათვის, რომ მოგვეცა საშუალება აღსარების და ზიარების გარეშე არ წასულიყავი ამ ქვეყნიდან. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი კაკო, ძმაო და შენს ულამაზეს ოჯახს ვუსურვებ დღეგრძელობას და შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქებას. მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა, გულზე მიგაყარეს.

სოფლის სახელით

ჯემალ კეჭაყმაძე

განცხადებები

იყიდება ბინა გრიბოედოვის ქ. 21-ში, I სართული, ფართი 90 კვ.მ, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის ან საოფისედ. ტელ. 599 58 75 32.

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვ. მ. ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით. ტელ. 599 58 75 32.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გეკუთვნათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.



„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ საბავშვო ბაღებში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდური განყოფილების მიერ საბავშვო ბაღებში დაიწყო ზღაპრის კვირეული „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“.

პროექტში, რომელშიც 26 საბავშვო ბაღის აღსარდელები მონაწილეობენ, ჩართულები არიან აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლებიც. პროექტის მონაწილეებმა თითქოსდა მივიწყებული სამყარო გააცოცხლეს, ზღაპრის გმირებს ახალი სიცოცხლე აჩუქეს, ბოროტება დაამარცხეს, სიკეთის გამარჯვება იზეიმეს, სიყვარულს, ერთგულებასა და ტანადგომას ფრთები შეასხეს.

ზღაპრის კვირეულის შეფასების კრიტერიუმებია: ზღაპრის შერჩევა ასაკის გათვალისწინებით; მონაწილეთა ესთეტიკური მხარე; გამომეტყველებითი კითხვის უნარი; მშობლიური ენების ბგერების სწორად წარმოთქმა; ზღაპრის შესაბამისი მუსიკალური კომპოზიცია.

შემოქმედელთა შემოქმედებითად საინტერესო „წითელქუდა“

ვერც მგელი და ვერც დათუნა ბომბორა რომ ვერაფერს აკლებს, ასეთი წითელქუდა სოფელ შემოქმედის საბავშო ბაღში ვნახეთ. აქვე აღმოვაჩინეთ ამ ყავლგაუვალი ზღაპრის სხვა პერსონაჟები, რომელთაც შემოქმედებითად უზადოდ ასახიერებდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. შემოქმედელებს ყოველთვის ხელეწიფებოდათ და ახლაც ხელეწიფებათ მაღალი სასცენო ხელოვნება. ასეთი წარმოდგენაზე ამბობენ, პრემიერა შედგა. გავა წლები და თავიანთ პირველ როლებს სიყვარულით გაიხსენებენ:

ნინო ტულუში, თამარ მარშანია, თეკლა ონიანი, შოთიკო მშვიდობაძე, ნინო ბურჭულაძე, ანასტასია თურქიაშვილი, ბექა თოდრაძე, თორნიკე ჭანუყვაძე, ანამარია ხომერიკი, ნანა ვადაჭკორია, დათო ნაჭყეპია, ლიზი ჩხატარაშვილი, ნინო მურვანიძე, ლიზი ჩიტაიშვილი, ანდრია ონიანი, ნინი სხირტლაძე, თორნიკე ტოროშელიძე, ნია ფასიეშვილი, ნიკოლოზ კუტალია.

საბავშვო ბაღის მენეჯერი — **ნანა ღლონტი**, მუსიკის მასწავლებელი — **ია თოიძე**, აღმზრდელები — **მარინე არობელიძე, ბელა ლომთათიძე, ლია ანდღულაძე,**

ლაითურელი ვარიკები და ყვინჩილები

ზღაპარ „ფაციკოს“ სახით კომპოზიციურად სრულყოფილი დადგმა განახორციელა დაბა ლაითურის პირველმა საბავშვო ბაღმა. ჩვენ ამ ბაღის სხვა ღონისძიებებსაც დავსწრებივართ, მაგრამ „ფაციკომ“, რომ იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უკიდეგანო ფანტაზია, საოცარი იმპროვიზაცია, დახვეწილი მუსიკალურობა, რიტმის ზუსტი შეგრძნება, — აი, არასრულყოფილი ჩამონათვალი იმისა, რითაც ეს დადგმა გამოირჩეოდა.

წამყვანები: **ანდრო თავართქილაძე, ზურა აბაშიძე;** პერსონაჟები და შემსრულებლები: ფაციკო — **ნინა აბულაძე**, ვარიკო — **გვანცა ხოზრევანიძე**, ცაციკო — **ნინო დიასამიძე**, წაწიკო — **კიზი შაინიძე;** ვარიკები: **მარი ქუთათელაძე, ნათია სირაძე, ქრისტინე ბაკურიძე, თათია ბაკურიძე, თამუნა კაბელაშვილი, ანნა სურმანიძე;** ყვინჩილები: **ალეკო ქარცივაძე, ნიკა ბერიძე, დაჩი სურმანიძე, საბა ბათაძე, დიეგო შაინიძე, ლუკა ბერიძე.**

საბავშვო ბაღის მენეჯერი — **ხათუნა ჭუმბურიძე;** მასწავლებლები — **იზო აბულაძე, ელისო ხურცილავა;** მუსიკის მასწავლებელი: **ნინო გაბეჩავა**, თანაშემწე — **ნინო გაზაშვილი;**

შემოდგომის ზღაპარი ცხემლისხიდში

კვირეულისათვის ცხემლისხიდის საბავშვო ბაღს „შემოდგომის ზღაპარი“ შემთხვევით არ შეურჩევია, რადგან შემოდგომა ამ სოფელში მართლაც ზღაპრულია. ნოემბრის მიწურულს პატარებმა შემოდგომას პეწი არ დაუკარგეს და წელიწადის ამ მშვენიერ დროს თავისებური სითბო და ლაზათი შემატეს, ისეთი გმირები მოიყვანეს, ისეთი გმირები განასახიერეს და აამჭერმეტყველეს, რომლებიც ღონისძიების შემდეგაც დიდხანს დარჩებიან მშობლიურ სოფელში.

აი ისინიც: გოგონა (ტყეში დაკარგული) — **ანა ბორჩხაძე;** მგელი — **საბა ბორჩხაძე**, გოჭი — **ნიკოზ ბერიძე**, ჭიამაია — **თინა გაგნიძე**, ოჩოპინტრე — **პაატა გაგნიძე;** გოჭი — **გიორგი გაგნიძე**, ციცინათელა — **ლიზი გიორგაძე**, წითელქუდა — **ნინო დანელია**, მწყემსი — **ლუკა მელუა**; დათვი — **ნიკოლოზ მუჯირი;** ტყის დედოფალი — **ნუცა მაისურაძე**, ჭიამაია — **ლიკა მგელაძე;** გოჭი — **ლევან სალუქვაძე;** ციცინათელა — **ნატალი ქავჯაია**, ჭიამაია — **ბარბარე შარაშიძე;** მელია — **საბა ჯოხაძე**, ციცინათელა — **ციაკო თევდორაშვილი**, კომბლე — **ლუკა ჭანუყვაძე.**

მენეჯერი — **ნინო ვაშაყმაძე**, აღმზრდელ-მასწავლებელი — **ქეთი კვაჭანტირაძე**, ცვლის მასწავლებელი — **ნანა თოიძე**, მუსიკის მასწავლებელი — **ნატო მელაშვილი.**

ნარუჯელთა რეალობად ქცეული ზღაპარი

ნარუჯის საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებმა დაამტკიცეს, რომ სცენაზე თუ მცირე საკონცერტო დარბაზში მათთვის სასურველი ზღაპრის რეალობად ქცევა შეუძლიათ. ასაკის გათვალისწინებით შერჩეული ზღაპრის ინსცენირებას კარგად გაართვა თავი ყველა ბავშვმა. უნაკლოდ იყო დაბალანსებული როგორც მთავარი, ისე ეპიზოდური როლები, სწორედ ამის გამო, თანაბრად ერგო დამსწრეთა აპლოდისმენტები მინისპექტაკლის ყველა მონაწილეებს: **ანდრია აბაშიძეს, საბა ბერიძეს, მაგდა ბერიძეს, ელენე ბერიძეს, ქეთევან ბერიძეს, ზურიკო ბერვენოს, თამუნა ბაკურიძეს, ალეკო დარჩიძეს, მეგი დიასამიძეს, თაკო დუმბაძეს, მურმან ებრალიძეს, იუსუფ ვეისალიძეს, ერეკლე კახაძეს, სანდრო კილაძეს, ია მახარაძეს, დავით მეავნაძეს, საბა პაპიძეს, აიშე სუსანიძეს, დაჩი სურმანიძეს, ზვიად სურმანიძეს, მზია ტარიელაძეს, ბაჩუკი შავაძეს, გიორგი ცენტერაძეს, საბა ხარაბაძეს, ლიზი ხიმშიაშვილს, ზურაბ ხოზრევანიძეს, ბაჩი ჯაიანს.**

საბავშვო ბაღის მენეჯერი — **ციცო მარდალეიშვილი**, მუსიკის მასწავლებელი **მალვინა სალუქვაძე**, აღმზრდელი — **თამარ თავართქილაძე.**

მაკვანეთელი ბავშვები ზღაპრების სამყაროში მიუზიკლით მოგზაურობენ

ლოგიკურია, რომ მომღერალთა სოფლის საბავშვო ბაღმა კვირეულისათვის შეარჩია მ. მერაბიშვილის მუზიკლის მიხედვით შექმნილი მუსიკალური სპექტაკლი „მოგზაურობა ზღაპრების სამყაროში“. ღმეთნა ნუ ჰქნას, რომ მაკვანეთელი ბავშვი არ მღეროდეს, მაგრამ, სიმღერასთან ერთად, მსახიობობაც რომ ეხერხებათ, ეს უკვე მთ მრავალმხივ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

გაგაცნობთ მუზიკლის მონაწილეებს: გოგონა — **სოფო ბაბილოძე**, პრინცესა — **ნათია ქასაშიძე**, მგელი — **დიმა ჭანუყვაძე**, წითელქუდა — **მეგი ჭანუყვაძე**, ბიჭი — **დავით ქორიძე**, გოგონა — **ბარბარე გოი**, დათვი — **ვახტანგ თედელური**, მელია — **ელენე ბერსენაძე**, კურდღელი — **ირაკლი ტოკლიკიშვილი**, გოგონა - **ნანა ნაცვალაძე**, წამყვანი — **მათე ცეცხლაძე**, დედინაცვალი — **ელენე თოიძე**, წამყვანი, წითელქუდა — **თამარ თოიძე**, ოჩოპინტრე — **ნიკოლოზ ცელაძე**, პრინცი — **ლუკა ცელაძე**, ზღარბი — **გიორგი კონტრიძე**, ფერია — **ანასტასია აბაშაძე**, მონადირე — **ცოტნე ნაცვალაძე**, კატა ბაზილიო — **ალექსი თოიძე**, გოგონა — **ნინო დონღვანი**, ბიჭი — **გიორგი თოდაძე**, გოგონა — **ბარბარე რამიშვილი**, მონადირე — **ბექა ბექაური.**

ბაღის მენეჯერი — **ნ. კალანდარიშვილი**, მუსიკის მასწავლებელი — **ლ. კალანდარიშვილი**, აღმზრდელები — **ნ. ანთიძე, ხ. წივწივაძე,**

„მელია და მამალი“ ნაგომრის საბავშვო ბაღში

ნაგომრის საბავშო ბაღმა კვირეულის ფარგლებში, „მელია და მამალის“ სახით, თავის რეპერტუარს ერთი ლამაზი მინისპექტაკლი შემატა. აღსაზრდელებმა საკონკურსო ცენო ხელოვნება. დამსწრე საზოგადოების თქმით, ნაგომრიელი ბავშვები ზღაპარსა და რეალობაში ერთნაირად მშვენიერები არიან. გაიცანით ისინი:

ჯაბა ბერსელაძე, ნუცა მარკოიძე, თიკო ვაშაყმაძე, სესილი კოტრიკაძე, თეკლა კოტრიკაძე, საბა ნოზაძე, ლუკა წიტაიშვილი, ლაზარე დოლიძე — I წამყვანი, **იოანა დოლიძე** — II წამყვანი, **გიორგი წიტაიშვილი** — მელია; **დანიელ დოლიძე; გიორგი სუხმანი, დაჩი ტუშური — მამალი, ანდრია ტუშური, ამირან სარიშვილი** - დათვი, **თემურ ირემაძე.**

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 დეკემბერი, ორშაბათი	5 დეკემბერი, სამშაბათი	6 დეკემბერი, ოთხშაბათი	7 დეკემბერი, ხუთშაბათი	8 დეკემბერი, პარასკევი	9 დეკემბერი, შაბათი	10 დეკემბერი, კვირა
მზე, ღრუბელი +8+17	წვიმა +4+11	წვიმა, +0+5	წვიმა თოვლით -1+4	წვიმა თოვლით -1 0	წვიმა +1+4	მზე +4+7